ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33

ქ. თეთრიწყარო 2022 წ.

ერთი მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი წიკლაურის სახით და მეორე მხრივ შპს „ვებ მენეჯერ" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გამყრელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tetritskaro.gov.ge) მომსახურების (დანართი N1-ის შესაბამისად) /72200000-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4800.00 (ოთხიათას რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.
2.2 ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს - 480.00 (ოთხასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2. დაფინანსების წყარო - 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება_მოვალეობანი

<u>3.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.
ბ) მომსახურება გასწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას, მის მიერ გაწეულ მომსახურებაში აღმოჩენილი ხარვეზები, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.
გ) ვებ-გვერდზე www.tetritskaro.gov.ge, ატვირთოს (გამოაქვეყნოს) შემსყიდველის მიერ მიწოდებული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურული, სპორტული და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია და ფოტომასალა, მათი მიწოდებიდან 48 საათის განმავლობაში (დანართი N1-ის შესაბამისად).

<u>3.2 "შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

ა) უზრუნველყოს მიმწოდებელი აღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.
ბ) შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი და ატვირთული (გამოაქვეყნებული) ინფორმაციის სიზუსტე, ხარვეზების ან/და უზუსტობების გამოვლენის შემთხვევაში, მოსთხოვოს მიმწოდებელს საკუთარი ხარჯებით მისი დროულად აღმოფხვრა.
გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ, საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1 ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.
5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს მას დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება.
5.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, რომლის დროსაც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.
5.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
5.6 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის დარღვევის და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას, გადაუხდელი თანხის 0,02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ყოველთვირად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის შემდეგ, ფორმდება ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება, ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს, მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის, ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას, ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
8.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კონსულტანტი კულტურის საკითხებში – ნინო სარდლიშვილი
10.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.
10.3 შესრულებულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის, წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრამდე.

13. მხარეთა მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ქ. თეთრიწყარო,თამარ მეფის ქ. N34	შპს ,,ვებ მენეჯერ” ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N 160, ბ. 105-106
ს/კოდი: 230869254 სახელმწიფო ხაზინა ა/ა: GE24NB0330100200165022 ბ/კოდი: TRESGE22	ს/კოდი: 445523577 მ.ბ: ს.ს. საქართველოს ბანკი ა/ა: GE43BG0000000044718200 ბ/კოდი: BAGAGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

----------	GIORGI GAMKRELIDZE Digitally signed by GIORGI GAMKRELIDZE Date: 2022.03.01 17:50:49 +04'00'
გიორგი წიკლაური მუნიციპალიტეტის მერი	გიორგი გამყრელიძე შპს ,,ვებ მენეჯერ”-ის დირექტორი

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2022.03.01 13:25:23 +04'00'

დანართი N1

N	მომსახურების სახე
1	ჰოსტინგი ულიმიტო ვებ სივრცე +შეუზღუდავი ტრაფიკი (ულიმიტო ფოტო და ვიდეო მასალის ატვირთვა)
2	ულიმიტო ელ-ფოსტების რაოდენობა
3	ვებ-გვერდის ადმინისტრირების უზრუნველყოფა
4	ვებ-გვერდის ფუნქციონირების ტენიკური გამართულობის უზრუნველყოფა
5	ვებ-გვერდის მუდმივი ოპერატიული განახლება
6	ვებ-გვერდის ფუნქციონირების სტატისტიკური დამუშავება და თვალსაჩინო ინტერპრეტაცია
7	სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ხელშეწყობა ლოკალური და თემატური ვებ-გვერდის საიტების
8	ვებ-გვერდის ფუნქციონირების პროგრამული უზრუნველყოფა
9	ვებ-გვერდის ყოველდღიური მონიტორინგი და სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა
10	ვებ-გვერდის პროგრამული განახლება, დახვეწა
11	ვებ-გვერდზე განთავესებული ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლისაგან წაშლისაგან ან კიბერნეტიკული საფრთხეებისაგან
12	მეილ სერვერის ადმინისტრირება
13	სარეზერვო ასლის back-up ის შექმნა
14	ბანერების შექმნა ვებ-გვერდის და FACEBOOK გვერდისთვის